ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ხათუნა გრიგალაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ია გაბედავა – კოლეგიის წევრი

სანდრო ჯორბენაძე – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – ნ. ი.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 25.07.2013

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 090/13

საჩივარი შემოტანილია – ადვოკატ თ. მ.-ის მიმართ /სიითი № /

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ თ. მ.-ისათვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება; თანხის გადახდის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

   1.1 2013 წლის 25 ივლისს ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ნ. ი.-მ და მოითხოვა ადვოკატ თ. მ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება და თანხის გადახდის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2013 წლის ივლისში შეხვდა ადვოკატ თ. მ.-ს და განუმარტა, რომ ესაჭიროებოდა სამართლებრივი მომსახურება სასამართლოში საერთო სარგებლობის ეზოში არსებულ სადავო ღობესთან დაკავშირებით. კერძოდ, მისი საცხოვრებლის გვერდით ოთახში ცხოვრობდა აწ გარდაცვლილი მესაკუთრის დის შვილიშვილი, რომელსაც მემკვიდრეობა შესაბამისი წესით არ ჰქონდა მიღებული და რეგისტრირებული. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა განუმარტა, რომ გარდაცვლილი მესაკუთრის შვილიშვილი უკანონოდ ცხოვრობდა აღნიშნულ ფართში და ექვემდებარებოდა გამოსახლებას.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, მან ადვოკატთან გააფორმა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება და გადასცა მის მიერ მოთხოვნილი ყველა საბუთი და 300 (სამასი) ლარი მომსახურების და 100 (ასი) ლარი სახელმწიფო ბაჟის თანხა. საჩივრის ავტორის განმარტებით, მან სთხოვა ადვოკატს სასამართლოსათვის მიმართვამდე მისთვის გაეცნო სარჩელის შინაარსი. ადვოკატმა მოთხოვნაზე უარი განუცხადა იმ მიზეზით, რომ თვითონ გადაწყვეტდა, რას მიუთითებდა სარჩელში.

1.4 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2013 წლის 15 ივლისს, ადვოკატმა გადასცა სასამართლოში სარჩელის შეტანის დამადასტურებელი დოკუმენტი. ნ. ი.-მ კვლავ სთხოვა ადვოკატს, რომ მისთვის სარჩელის შინაარსი გაეცნო. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა მისგან დამოუკიდებლად სარჩელში მიუთითა, თითქოს ნ. ი.-მ გარდაცვლილ მესაკუთრის საცხოვრებელი სადგომი მესაკუთრის სიცოცხლეში შეიძინა 2 000 (ორი ათასი) ლარად, აღნიშნულის დასადასტურებლად, მათ დადეს ხელწერილი და ეს ხელწერილი დაიკარგა გაურკვეველ ვითარებაში. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა თ. მ.-მ უთხრა, რომ სასამართლოში უნდა მიეყვანა ორი ცრუ მოწმე, რომელიც თითქოს ესწრებოდა 2 000 (ორი ათასი) ლარის გადაცემას. ასევე, ადვოკატმა გააფრთხილა საჩივრის ავტორი რომ უნდა განეცხადებინა შემდეგი: თითქოს ცხოვრობდა გარდაცვლილი პიროვნების საცხოვრებელ სადგომში და იხდიდა კომუნალურ გადასახადებს. საჩივრის ავტორის განმარტებით, მან ადვოკატს უყვირა, უწოდა თაღლითი და მოსთხოვა გადახდილი თანხის დაბრუნება, რაზეც თ. მ.-მ უარი განაცხადა.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, სადავო საცხოვრებელი სადგომის გარდაცვლილ მესაკუთრეს ჰყავდა მემკვიდრე, რის შესახებაც ადვოკატისათვის ცნობილი იყო. ასევე, აღნიშნულ საკითხზე სასამართლოსათვის სარჩელით მიმართვისათვის არ იყო სავალდებულო სახელმწიფო ბაჟის გადახდა. მიუხედავად ამისა, ადვოკატმა მას გამოართვა სახელმწიფო ბაჟის თანხა 100 (ასი) ლარი.

1.6 2014 წლის 120 იანვარს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორმა განაცხადა, რომ როდესაც ადვოკატს მიუტანეს დოკუმენტი ერთიანი ეროვნული სამემკვიდრეო რეესტრიდან, მას ამ საქმისთვის ხელი აღარ უნდა მოეკიდა, რადგან აღმოჩნდა, რომ სადავო ფართის აწ გარდაცვლილ მესაკუთრეს მემკვიდრე ჰყავდა. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა განუმარტა, რომ მემკვიდრე არ იყო ბინაში რეგისტრირებული და გამოსახლებას ექვემდებარებოდა, საჭირო იყო ჰონორარის 300 (სამასი) ლარის და სახელმწიფო ბაჟის თანხის 100 (ასი) ლარის გადახდა და მიხედავდა საქმეს. აღმოჩნდა, რომ ასტუპნიკების

საქმეზე მოსარჩელე გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან და საჩივრის ავტორს არ უნდა გადაეხადა სახელმწიფო ბაჟი.

1.7 საჩივრის ავტორის განცხადებით, მისი მოთხოვნა იყო, რომ ღობე, რომელიც არასწორად იყო გადასული მის ფართზე, გასწორებულიყო. ადვოკატმა თ. მ.-მ უთხრა, რომ ღობის გასწორება კი არ უნდა მოეთხოვა, მას ბინა ეკუთვნოდა და ბინაზე საკუთრების უფლება უნდა მოეთხოვა. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა თავისი ინიციატივით, მასთან შეუთანხმებლად მიუთითა სარჩელში, თითქოს ნ. ი.-მ ბინა 2 000 (ორი ათასი) ლარად შეიძინა. რეალურად, მას ასეთი რამ ადვოკატისათვის არ უთქვამს.

1.8 2014 წლის 20 იანვრის განხილვის კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორმა განაცხადა, რომ ის ბინაზე დავას მხოლოდ იმიტომ დათანხმდა, რომ დაუჯერა ადვოკატის ნათქვამს და ეგონა, რომ ბინა მართლა ეკუთვნოდა მას.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 თ. მ.-მ ეთიკის კომისიაში წერილობითი ახსნა-განმარტება წარმოადგინა 2013 წლის 09 აგვისტოს. ადვოკატის განცხადებით, ნ. ი.სათვის სამართლებრივი დახმარების გაწევა სთხოვა საერთო ნაცნობმა. საჩივრის ავტორმა მას განუცხადა, რომ 1997 წელს შეიძინა ბინა აწ გარდაცვლილი პიროვნებისაგან შინაურული ხელწერილის საფუძველზე. ხელწერილი გაურკვეველ ვითარებაში დაიკარგა. აღნიშნული ბინა მდებარეობს საჩივრის ავტორის მისამართზე და მისი ბინისაგან გაყოფილია მხოლოდ ერთი კედლით. გარდაცვლილ პიროვნებას არ ჰყავდა მეუღლე და შვილები და ბინა თავისუფალი იყო, თუმცა, გარკვეული ხნის შემდეგ გამოჩნდნენ პიროვნებები, რომლებიც აცხადებდნენ, რომ გარდაცვლილის ნათესავები იყვნენ.

2.2 ადვოკატის განცხადებით, საჩივრის ავტორს სთხოვა, რომ საქმის მასალებთან ერთად მისთვის გადაეცა საინფორმაციო ბარათები იუსტიციის სახლიდან, კომუნალური გადასახადების დამადასტურებელი ქვითრები, გაეფორმებინა მინდობილობა და საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება. ადვოკტის განცხადებით, საჩივრის ავტორს ასევე განუმარტა, რომ მისი პოზიციის დასაცავად დამატებით საჭირო იქნებოდა მოწმეთა ჩვენებები და მათი მოყვანა ნ. ი.-ს თავად უნდა უზრუნველეყო. რამდენიმე დღეში გაფორმდა ხელშეკრულება და გაიცა მინდობილობა.

2.3 ადვოკატის განმარტებით, რამდენიმე დღეში მას დაუკავშირდა ნ. ი. და დაუსახელა მოწმეთა ვინაობა. ასევე, მოითხოვა რაც შეიძლება სწრაფად შეეტანა სარჩელი სასამართლოში, ვინაიდან სურდა, რომ მეუღლისათვის ეჩვენებინა სარჩელის შეტანის დამადასტურებელი დოკუმენტი. ადვოკატის განცხადებით, ნ. ი.-მ გადაიხადა დამატებითი თანხა საინფორმაციო ბარათების სწრაფად დამზადებისათვის და განაცხადა, რომ კომუნალური გადასახადების დამადასტურებელ ქვითრებს მოგვიანებით წარუდგენდა. ადვოკატის განცხადებით, საჩივრის ავტორმა უთხრა, რომ სამსახურის გამო დაკავებული იყო და არ

ეცალა, ამიტომ მას დამოუკიდებლად მიეხედა საქმისთვის და სწრაფად შეეტანა სარჩელი სასამართლოში.

2.4 ადვოკატის განცხადებით, სარჩელის შეტანის შემდეგ ნ. ი.-ს გადასცა სარჩელის შეტანის დამადასტურებელი დოკუმენტი და სარჩელის ასლი. საჩივრის ავტორმა დოკუმენტების გადაცემიდან სამი დღის შემდეგ თ. მ.-ს მოსთხოვა შეხვედრა. შეხვედრისას ნ. ი.-მ ადვოკატს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა და სცადა ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებაც. მიზეზად იგი სასამართლო განჩინებას ასახელებდა. ადვოკატმა შეხვედრის შემდეგ სცადა გასცნობოდა განჩინებას, თუმცა, იგი დაზიანებული იყო საჩივრის ავტორის მიერ და სრულად გაცნობა ვერ შეძლო და გაარკვია მხოლოდ ის, რომ სასამართლომ სარჩელი წარმოებაში არ მიიღო იმ საფუძვლით, რომ თან არ ერთვოდა კომუნალური გადასახადების დამადასტურებელი ქვითრების ასლები.

2.5 2014 წლის 20 იანვრის განხილვის კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა თ. მ.-მ განაცხადა, რომ გარდაცვლილ თანამესაკუთრეს მემკვიდრეები არ დარჩენია, დარჩა მხოლოდ დის შვილიშვილები, რომლებიც კანონისმიერი მემკვიდრეები არ არიან, საჩივრისა ავტორი თანახმა იყო, რომ ბინის თაობაზე ედავა.

3. მოწმე ავთანდილ ღოღელიანი:

3.1 მოწმის განცხადებით, ადვოკატი თ. მ. მისი თანამშრომელი იყო და მას შემთხვევით შეხვდა იუსტიციის სახლში, სადაც გააცნო ნ. ი.. მოწმის განცხადებით, საერთო ღობე ნ. ი.ს მიწაზე არასწორად გადის და საჩივრის ავტორს მისი გასწორება უნდოდა, სწორედ ამ საქმის დოკუმენტაციის ასაღებად იყვნენ იუსტიციის სახლში, ადვოკატის გაცნობის დღეს.

3.2 მოწმის განმარტებით, ადვოკატმა ნახა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და ნ. ი.-ს განუმარტა, რომ ღობის მეორე მხარეს მდებარე ფართს მესაკუთრე არ ჰყავდა, რადგან მის მესაკუთრეს არ დარჩა მემკვიდრე და ეს ბინა ნ. ი.-ს ეკუთვნოდა.

3.3 მოწმის განცხადებით, მას შემდეგ, რაც ადვოკატმა სარჩელი შეიტანა სასამართლოში, საჩივრის ავტორმა მოსთხოვა, რომ მაშინ მაინც ეჩვენებინა რა ჩაწერა სარჩელში.

3.4 მოწმის განცხადებით, საჩივრის ავტორი იმის გამო დაეთანხმა ადვოკატს, რომ ბინის უმკვიდროდ ცნობა და მისთვის საკუთრებაში გადაცემა მოეთხოვა, რომ ადვოკატმა დაარწმუნა, ბინა მას ეკუთვნოდა, რადგან მის მესაკუთრეს მემკვიდრე არ დარჩენია. ნ. ი.-მ მას შემდეგ მოსთხოვა ადვოკატს თანხის უკან დაბრუნება და ურთიერთობის შეწყვეტა, რაც სარჩელის წარდგენის შემდგომ სასამართლომ გაუგზავნა განჩინება სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის თაობაზე და ნახა, რომ ადვოკატმა ცრუ ინფორმაცია მიუთითა, თითქოს, ნ. ი.-ს 2 000 (ორი ათასი) ლარად ჰქონდა ნაყიდი ბინა.

3.5 მოწმის განცხადებით, ადვოკატმა საჩივრის ავტორს უთხრა, რომ მეზობლების საკონტაქტო ინფორმაცია მიეწოდებინა მისთვის, რადგან მოწმეები დასჭირდებოდა იმის დასამტკიცებლად, რომ სადავო ფართში ნამდვილად ცხოვრობდა. მან და საჩივრის ავტორმა

ადვოკატს მოსთხოვეს აღებული თანხის უკან დაბრუნება, რადგან ადვოკატს არაფერი გაუკეთებია.

3.6 2014 წლის 20 იანვრის განხილვის კოლეგიის სხდომაზე მოწმემ განაცხადა, რომ ნ. ი. დათანხმდა ბინის თაობაზე დავას, რაგან ადვოკატმა დაარწმუნა, რომ ბინა მას ეკუთვნოდა.

4. **დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:**

საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ შესაძლოა, ადვოკატის ქმედებებში ფიქსირდებოდეს პროფესიული ეთიკის ნორმების დარღვევა. საპროცესო კოლეგიას შეექმნა დასაბუთებული ვარაუდი, რომ ადვოკატმა თ. მ.-მ სასამართლოს მიაწოდა არასწორი ინფორმაცია, კლიენტს არ მიაწოდა სრული ინფორმაცია საქმესთან დაკავშირებით, განახორციელა არაკვალიფიციური წარმომადგენლობა და ნ. ი.-ს გამოართვა სახელმწიფო ბაჟის თანხა, მიუხედავად სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების საფუძვლისა. შესაბამისად, შესაძლოა ადვოკატის მიერ დარღვეული იყოს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ა“ ქვპუნქტი, მე-6 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილები.

II სამოტივაციო ნაწილი

ეთიკის განხილვის კოლეგიამ შეისწავლა საჩივარი, მასზე დართულ მასალებთან ერთად, მოუსმინა მხარეებს და მიაჩნია, რომ საპროცესო კოლეგიის მიერ დისციპლინარული დევნის აღძვრის საფუძველი დასაბუთებულია და საქმის არსებითი განხილვის შედეგად დადასტურებულად უნდა იქნეს მიჩნეული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრის, ადვოკატ თ. მ.-ის მიერ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევის ფაქტი, კერძოდ;

5. **საქმის ფაქტობრივი გარემოებები:**

5.1. განხილვის კოლეგიის მიერ საჩივრის განსახილველად სხდომა ჩატარებულ იქნა 2014 წლის 20 იანვარს. მას დაესწრო როგორც საჩირვის ავტორი, ნ. ი., ასევე მის მიერ წარმოდგენილი მოწმე ავთანდილ ღოღელიანი და ადვოკატი თ. მ..

5.2. საჩივრის ავტორმა მხარი დაუჭირა მის მიერ წარმოდგენილ საჩივარს და განმარტა, რომ მისი მოთხოვნაა ადვოკატ თ. მ.-ს შეუჩერდეს საადვოკატო საქმიანობის უფლება და გარიცხულ იქნეს ადვოკატთა ასოციაციიდან.

5.3. მოწმე ავთანდილ ღოღელიანმა სრულად დაადასტურა საჩივრის ავტორის ნ. ი.ს მიერ მიცემული ახსნა-განმარტება.

5.4. ადვოკატმა თ. მ.-მ წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით განმარტა: მას ნ. ი.-მ მოუყვა, რომ მისი აწგარდაცვლილი მეზობლის ღობე მისი საკუთრების ნაწილზე იყო გადმოწეული

და გასწორება უნდოდა, თუმცა ადვოკატი უარყოფს საჩივრის ავტორისათვის ისეთი კონსულტაციის მიცემას, რომლითაც ნ. ი. დაიკანონებდა გარდაცვლილი მეზობლის ერთ ოთახიან ბინას.იგი მიუთითებს, რომ საჩივრის ავტორი ადვოკატთან დაკავშრებამდე იყო სხვა იურისტთან, რომელმაც მისცა რჩევა, რომ ღობეზე კი არა ბინაზე უნდა ედავა საჩივრის ავტორს. აქედან გამომდინარე მან ჰკითხა ნ. ი.-ს, თუ ვინ იყო რეგისტრირებული ბინაში. ნ. ი.-მ დაუდასტურა, რომ ბინაში გარდაცვლილის დის შვილიშვილები ცხოვრობდნენ. ადვოკატმა განხილვის სხდომაზე განმარტა, რომ "დის შვილიშვილები არ წარმოადგენენ არცერთი რიგის მემკვიდრეებს. ისინი რეგისტრირებულნიც არ იყვნენ და აღნიშნული ბინა ისევ გარდაცვლილის სახელზე ირიცხებოდა." ასევე ადასტურებს, რომ ნ. ი.-ს შესთავაზა ბინაზე დავა. აქვეა აღსანიშნავი, რომ ადვოკატმა სარჩელი შეიტანა სასამართლოში, რისი უფლებამოსილებაც გააჩნდა ნ. ი.საგან გაცემული რწმუნებულების საფუძველზე, თუმცა სარჩელის შინაარსი მას გააცნო სარჩელის სასამართლოში შეტანის შემდგომ.

5.5. ადვოკატმა თ. მ.-მ არათანმიმდევრულად განმარტა ნ. ი.ს აწგარდაცვლილი მეზობლის დის შვილიშვილების მემკვიდრეობის საკითხი და მიუთითა, რომ ისინი არ წარმოადგენენ არცერთი რიგის მემკვიდრეებს, რითაც კოლეგიამ დადგენილად მიიჩნია, რომ ადვოკატის მხრიდან ადგილი ჰქონდა საჩივრის ავტორისადმი არაკვალიფიციური კონსულტაციისა და რჩევის მიცემას.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. საჩირვის ავტორის ნ. ი.ს 2013 წლის 25 ივლისის საჩივარი (ს.ფ. 01-07).
2. ადვოკატ თ. მ.-ის 2013 წლის 09 აგვისტოს ახსნა-განმარტება (ს.ფ. 38-40).
3. მოწმე ავთანდილ ღოღელიანის ახსნა-განმარტება.
4. ადვოკატ თ. მ.-ის მიერ 2013 წლის 15 ივლისს თბილისის საქალაქო სასამრთლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში შეტანილი სარჩელი (ს.ფ. 14-24).
5. თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის საინფორმაციო ბარათი (ს.ფ. 28-29).
6. ინფორმაცია ერთიანი ელექტრონული სამემკვიდრეო რეესტრიდან (ს.ფ. 34).
7. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის პასუხი (ს.ფ. 35).

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1 „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის საფუძველზე ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრება, ამავე კანონის მე-5-მე-9 მუხლით გათვალისწინებული მოვალეობების შეუსრულებლობისას. დასახელებული კანონის 34-ე

მუხლის 1 პუნქტით დადგენილია დისციპლინური სახდელის სახეები, 35-ე მუხლით მისი დადების საკითხის კოლეგიურად განხილვის წესი.

6.2 „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი: „ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია და განუმარტოს ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან.“ ამასთანავე ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილით: „ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ.“ ამ დანაწესებიდან გამომდინარე ადვოკატი თ. მ. ვალდებული იყო ნ. ი.სათვის მანამდე გაეცნო სარჩელის შინაარსი, ვიდრე სასამართლოში შეიტანდა მას. კოლეგიას დადგენილად მიაჩნია ის ფაქტი, რომ ადვოკატ თ. მ.-ის მხრიდან ადგილი ჰქონდა დასახელებული სამართლებრივი ნორმების დარღვევას, ვინაიდან მან ისე შეიტანა სარჩელი სასამართლოში, მხოლოდ მას შემდეგ გააცნო მისი შინაარსი ნ. ი.-ს. კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდება საშუალებას აძლევს მას, რომ ჩართული იყოს საქმის მსვლელობის პროცესში. კლიენტის მიერ ადვოკატისათვის რწმუნებულებით უფლებამოსილების მინიჭების მიუხედავად, ადვოკატი ვალდებულია კლიენტთან შეათანხმოს საქმის წარმოებისას მის მიერ განსახორციელებელი მოქმედებები.

6.3 ეთიკის კომისიამ 2010 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, დისციპლინურ საქმეზე №074/10, დაადგინა, რომ ,,ადვოკატის მოვალეობაა კლიენტს მიაწოდოს ყველა ინფორმაცია, რაც უკავშირდება მისი საქმის წარმოებას, რათა კლიენტმა იცოდეს მის მიერ მინდობილი საქმის მსვლელობის თაობაზე. ადვოკატის აღნიშნული ვალდებულება პირდაპირ კავშირშია კლიენტის ინტერესებთან, რადგან კლიენტი წარმოადგენს საქმის შედეგით დაინტერესებულ პირს და მნიშვნელოვანია ის ფლობდეს ინფორმაციას მისი საქმის მიმდინარეობის შესახებ.“

6.4 ეთიკის კომისიამ 2012 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილებაში, დისციპლინურ საქმეზე №096/11, განმარტა, რომ ,,ადვოკატის მიერ კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის განხორციელება ემყარება ადვოკატსა და კლიენტს შორის ეფექტურ კომუნიკაციას, რაც ადვოკატს აძლევს შესაძლებლობას საქმის წარმოების პროცესში შეათანხმოს დაცვის სტრატეგია კლიენტთან, მუდმივად მიიღოს კლიენტისაგან დაცვის განხორციელებისათვის საჭირო ინფორმაცია, გაითვალისწინოს კლიენტის რჩევები და ინტერესები.“

6.5 მოცემულ შემთხვევაში, საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების თანახმად, ადვოკატ თ. მ.-ს უნდა დაეცვა ნ. ი.ს ინტერესები სასამართლოში (იხ. ს.ფ. 36). თ. მ.-მ არ მიაწოდა კლიენტს სრული და სწორი ინფორმაცია საქმესთან დაკავშირებით და არ გააცნო სარჩელის შინაარსი სასამართლოში შეტანამდე, ადვოკატმა თ. მ.-მ კლიენტს არ მიაწოდა ინფორმაცია, თუ რა ფაქტობრივი გარემოებების მითითებას აპირებდა სარჩელში. ასევე, ადვოკატმა, მიუხედავად იმისა, რომ იცოდა სადავო ფართის გარდაცვლილი მესაკუთრის მემკვიდრის არსებობის შესახებ, არ განუმარტა კლიენტს ამ ფაქტის გავლენა სასარჩელო მოთხოვნაზე. (იხ. განხილვის კოლეგიის სხდომის ოქმი ს.ფ. 59). მოწმე ავთანდილ ღოღელიანი ადასტურებს, რომ მას შემდეგ, რაც ადვოკატმა სარჩელი შეიტანა სასამართლოში, საჩივრის ავტორმა მოსთხოვა, რომ მაშინ მაინც ეჩვენებინა მისთვის, რა ეწერა სარჩელში. (იხ. განხილვის კოლეგიის სხდომის

ოქმი ს.ფ. 61). ამასთან, სარჩელს ხელს აწერს ადვოკატი თ. მ. და არა მოსარჩელე-ნ. ი., შესაბამისად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განხილვის კოლეგიას დადგენილად მიაჩნია, რომ ნ. ი. არ გაცნობია სარჩელს სასამართლოში შეტანამდე და სარჩელში წარმოსადგენი პოზიცია ადვოკატმა სრულად არ შეუთანხმა მას.

6.6 განხილვის კოლეგია ვერ გაიზიარებს ადვოკატის ახსნა-განმარტებას იმის თაობაზე, რომ ადვოკატმა თ. მ.-მ საჩივრის ავტორს, მიუხედავად იმისა, რომ იგი გათავისუფლებული იყო სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან არ გამოურთმევია 100 (ასი) ლარი, როგორც სახელმწიფო ბაჟისათვის გადასახდელი თანხა. აღნიშნული გარემოება დადგენილად მიაჩნია განხილვის კოლეგიას, მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატი უარყოფს, ხოლო სხვა რაიმე სახის მტკიცებულება გარდა თავისი ახსნა-განმარტებისა მას არ წარმოუდგენია ეთიკის კომისიაში. რაც შეხება საჩივრის ავტორს, მისი განმარტება სახელმწიფო ბაჟის სახით 100 (ასი) ლარის გადაცემის თაობაზე, დაადასტურა მოწმე ავთანდილ ღოღელიანმა. საჩივრის ავტორმა ადვოკატს გადაუხადა სახელმწიფო ბაჟის სახით 100 (ასი) ლარი და ეს თანხა ადვოკატს გადასცა მისი ჰონორარისაგან დამოუკიდებლად.

6.7 ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე–5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი: „ადვოკატი ვალდებულია: კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები.“ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–8 მუხლის მე–5 ნაწილი: ,,ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა.“

6.8 ადვოკატსა და კლიენტს შორის რწმუნებულების გაფორმების ან/და დავალების ხელშეკრულების საფუძველზე ადვოკატი იღებს ვალდებულებას კლიენტის სახელით და მის ნაცვლად განახორციელოს ყველა ის საპროცესო მოქმედება, რაც საქმის წარმოების პროცესში იქნება აუცილებელი. ადვოკატს წარმოეშობა ვალდებულებები სათანადოდ დაიცვას და წარმოადგინოს კლიენტის ინტერესები მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

6.9 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის პირველი ნაწილის „ი“ პუნქტის შესაბამისად: „სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან თავისუფლდებიან მოსარჩელეები – „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთერთობების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე მოთხოვნის თაობაზე საქმეზე სახელმწიფო ბაჟის ოდენობით.“ ვინაიდან ადვოკატისათვის სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების სამართლებრივი საფუძველი ცნობილი იყო, ვინაიდან მან სასამართლოში წარდგენილ სარჩელში სსსკ-ის 46-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ი“ ქვეპუნქტი მიუთითა სახელმწიფო ბაჟისაგან გათავისუფლების საფუძვლად და სახელმწიფო ბაჟი არ გადაუხდია (იხ. ს.ფ. 19), განხილვის კოლეგიას დადგენილად მიაჩნია, რომ ადვოკატმა თ. მ.-მ ნ. ი.-ს გამოართვა 100 (ასი) ლარი, სახელმწიფო ბაჟის გადასახდელად, მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელე გათავისუფლებული იყო ბაჟის გადახდისაგან. ადვოკატის მხრიდან აღნიშნული ქმედება შესაძლებელია შეფასდეს არაკეთილსინდისიერ წარმომადგენლობად.

6.10 განხილვის კოლეგია მიუთითებს, რომ ადვოკატმა თ. მ.-მ სასამართლოში წარადგინა არასწორი ინფორმაცია, რითაც დაარღვია ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6

მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმად: ,,ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით.“

6.11 ადვოკატმა კლიენტის ინტერესების დაცვა უნდა განახორციელოს კანონით განსაზღვრული საშუალებების გამოყენებით და მიზნად არ დაისახოს კლიენტისათვის სასურველი შედეგის მიღწევა არაკანონიერი საშუალებების გამოყენების გზით.

6.12 ეთიკის კომისიამ 2011 წლის 07 მარტის გადაწყვეტილებით, დისციპლინურ საქმეზე №057/10, დაადგინა: ,,კლიენტის ინტერესების დაცვის ვალდებულება ადვოკატს არ აძლევს უფლებას გამოიყენოს კანონსაწინააღმდეგო საშუალებები, თუნდაც ამას კლიენტი ითხოვდეს და საჭიროდ მიაჩნდეს დაცვის ამგვარი გზით განხორციელება. ადვოკატი ვალდებულია კანონით გათვალისწინებული საშუალებებითა და პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი სტანდარტებით იმოქმედოს.“

6.13 ეთიკის კომისიამ 2010 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილებაში, დისციპლინურ საქმეზე №010/10, დაცვის კანონიერი საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებით განმარტა: „კლიენტის ინტერესებში ობიექტურად შედის საქმის მიუკერძოებლად და სამართლიანად გადაწყვეტა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საპროცესო წესების დაცვით. კლინეტის ინტერესების დაცვა ადვოკატმა უნდა განახორციელოს კანონით დადგენილი წესების შესაბამისად.“

6.14 განხილვის კოლეგია აღნიშნავს, რომ ადვოკატმა თ. მ.-მ სასამართლოში წარდგენილ სარჩელში, დავის არსის მოკლე მიმოხილვის გრაფაში მიუთითა: ,,აწ გარდაცვლილ ე. ა.-ს მემკვიდრეები არ დარჩენია.“ (იხ. ს.ფ 15). ხოლო განხილვის კოლეგიაში ადვოკატ თ. მ.-ის მიერ მიცემულ ახსნა-განმარტებაში ცალსახად მიუთითა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატისთვის ცნობილი იყო, რომ სადავო ფართის მესაკუთრეს ჰყავდა დის შვილიშვილები, ისინი არ წარმოადგენენ არცერთი რიგირს მემკვირეებს. აქვეა გასათვალისწინებელი, რომ ადვოკატმა სარჩელს თან დაურთო ცნობა №XX/XXXX საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან, ერთიანი ელექტრონული სამემკვიდრეო რეესტრიდან გაცემული ინფორმაცია, სადაც მითითებულია: ,,ერთიან ელექტრონულ სამემკვიდრეო რეესტრში რეგისტრირებულია ერთი ჩანაწერი 2009 წლის 01 მაისს, გარდაცვლილ ე. ა.-ის დანაშთ ქონებაზე, კერძოდ, ნოტარიუსის მიერ დამოწმებულია სამკვიდროს მიღების/სამკვიდრო მოწმობის გაცემის შესახებ განცხადება, რაც ცალსახად ადასტურებს ე. ა.-ის მემკვიდრეთა არსებობას. ადვოკატმა ამ ყველაფრის მიუხედავად განმარტა, რომ: ”დის შვილიშვილები არ წარმოადგენენ არცერთი რიგის მემკვიდრეებს. ისინი რეგისტრირებულნიც კი არ იყვნენ და აღნიშნული ბინა ისევ გარდაცვლილის სახელზე ირიცხებოდა.” ადვოკატისათვის ცნობილი უნდა ყოფილიყო ის გარემოება, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლის შესაბამისად II რიგის მემკვიდრეთა წრე განისაზღვრება შემდეგი ფორმულირების შესაბამისად: ”გარდაცვლილის -- დები, ძმები. მამკვიდრებლის დისწულები და ძმისწულები და მათი შვილები კანონით მემკვიდრეებად ითვლებიან, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ცოცხალი აღარ იყო მათი მშობელი, რომელიც მამკვიდრებლის მემკვიდრე იქნებოდა. ისინი თანასწორად იღებენ სამკვიდროს იმ

წილს, რომელიც კანონით მემკვიდრეობის დროს მათ გარდაცვლილ მშობელს ერგებოდა.” ამ დანაწესიდან გამომდინარე, ადვოკატის ისეთი განცხადება, რაც მან სარჩელში გააკეთა და განმარტა განხილვის კოლეგიაში საჩივრის განხილვისას, კოლეგიას აძლევს იმის საფუძველს, რომ დადგენილად მიიჩნიოს ადვოკატ თ. მ.-ის მხრიდან ადგილი ჰქონდა კლიენტის არაკვალიფიციურ მომსახურებას.

6.15 განხილვის კოლეგიას მიაჩნია, რომ სახეზეა ადვოკატის მხრიდან არაკვალიფიციური დაცვა, ამასთანავე არადროული ინფორმირებულობა, რამაც გამოიწვია ადვოკატის მხრიდან ”ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის მე–5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–8 მუხლის მე–5 და მე-6 ნაწილით განსაზღვრული დანაწესების დარღვევა.

III სარეზოლუციო ნაწილი

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ”ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის მე-3, მე–5 მუხლის „ა“ და ”ბ” ქვეპუნქტებით, მე-6, 32, 34-ე მუხლის პირველი პუნქტის ”ა” ქვეპუნქტით, 35-ე მუხლით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–8 მუხლის მე–5 და მე-6 ნაწილებით ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 1,2, 3, 4, 5, 6, 13, 19, 20, 27, 28 მუხლებით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

1. ადვოკატ თ. მ.-ის მიმართ /სიითი №/ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს გაფრთხილება.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. განხილვის კოლეგიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში გადაწყვეტილების მხარეთათვის ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში (ძმები ზუბალაშვილების ქ. №32, საქართველოს უზენაესი სასამართლო).

კოლეგიის თავმჯდომარე: /ხათუნა გრიგალაშვილი /

კოლეგიის წევრი: /ია გაბედავა/

კოლეგიის წევრი: /სანდრო ჯორბენაძე/